

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის №01-06/01

მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების (საკომუნიკაციო ნაგებობის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების

სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების

საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

2. ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე“ ქედის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში, უსასყიდლოდ, თხოვნის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების

სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების

საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა

განყოფილების უფროსი: მამია გვარიშვილი

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების

სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის,

ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის

სამსახურის უფროსი: ეკატერინე ქაჯაია

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2023 წლის -- იანვარი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების (საკომუნიკაციო ნაგებობის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ქედის მუნიციპალიტეტში მდებარე 2 (ორი) ერთეული საკომუნიკაციო ნაგებობა - ცანაურას არხი (ს/კ 21.00.003) და ხარაულას არხი (ს/კ 21.00.004).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა 2023 წლის 23 იანვრის №322/02 წერილით ითხოვს ზემოთ დასახელებული უძრავი ქონების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას, შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის მიზნით, რომელიც შემდგომ განახორციელებს დასახელებული ქონების რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ღონისძიებებს.

ზემოთაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას მთავრობის მოთხოვნა ზემოთ დასახელებული უძრავი ქონების - საკომუნიკაციო ნაგებობის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

ა) ქედის მუნიციპალიტეტში მდებარე 2593,77 მეტრი საკომუნიკაციო ნაგებობა (ცანაურას არხი; ს/კ 21.00.003);

ბ) ქედის მუნიციპალიტეტში მდებარე 6351,07 მეტრი საკომუნიკაციო ნაგებობა (ხარაულას არხი; ს/კ 21.00.004).

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და მისი მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიების გატარება.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების (საკომუნიკაციო ნაგებობის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესრულება რათა განხორციელდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა. სწორედ ამ მიზეზით ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შესაბამისი მოთხოვნით, სამართლებრივი აქტის - საკრებულოს განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია - გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 23 იანვრის №322/02 წერილით ითხოვს სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია **2 (ორი) ერთეულ საკომუნიკაციო ნაგებობის** მის საკუთრებაში გადაცემას შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის მიზნით, ხოლო შემდგომ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ განახორციელებს დასახელებული ქონების რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ღონისძიებებს.

(იხ. წერილობითი მოთხოვნა და მასზე თანდართული დოკუმენტაცია განკარგულების პროექტს თან ერთვის).

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების მიღება, რათა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს საჯარო რეესტრში სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

- ქედის მუნიციპალიტეტში მდებარე 2593,77 მეტრი საკომუნიკაციო ნაგებობა (ცანაურას არხი; ს/კ 21.00.003);

- ქედის მუნიციპალიტეტში მდებარე 6351,07 მეტრი საკომუნიკაციო ნაგებობა (ხარაულას არხი; ს/კ 21.00.004).

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე.

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882023037900 - 20/01/2023 17:04:29

მომზადების თარიღი
25/01/2023 09:42:43

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	სამოვანი ობიექტი	ობიექტის ტიპი: საკომუნიკაციო ნაგებობა
21	00	003	ობიექტის აღწერა: ცანაურას არხი
			ობიექტის სიგრძე: 2593.77 მ.
			დაფარვის ზონა: ქედის მუნიციპალიტეტი
			საკუთრების ტიპი: საკუთრება
			დამატებითი მახასიათებლები:
			წინა საკადასტრო კოდი :

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882023037900 , თარიღი 20/01/2023 17:04:29
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 25/01/2023

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N1/1-177 , დამოწმების თარიღი:18/01/2023 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:246762061

მესაკუთრე:

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავენობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი
882011462770
თარიღი 21/09/2011
17:30:02

უზუფრუქტუარი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საგანი:სამელიორაციო არხი N2593.77 გრძივი მეტრი;
სარეგებლობის ვალა განისაზღვრება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და
ეკონომიკის სამინისტროს არსებობის ვალით.;

მომართვა, რეესტრის ნომერი N684, დამოწმების თარიღი 21/09/2011, აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება სამელიორაციო სისტემების მართვის
დეპარტამენტი

მომართვა, რეესტრის ნომერი N01-10/2260, დამოწმების თარიღი 23/06/2011, აჭარის
ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ბრძანება, რეესტრის ნომერი N36, დამოწმების თარიღი 25/06/2019, აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების
საავტომობილო გზების დეპარტამენტი,,

ბრძანება, რეესტრის ნომერი N38, დამოწმების თარიღი 03/07/2019, აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების
საავტომობილო გზების დეპარტამენტი,

ვალდებულება

ყალბა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვალით საკუთრებაში არსებული მაგნიტური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვალაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გეოგრაფიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882023037926 - 20/01/2023 17:07:34

მომზადების თარიღი
25/01/2023 16:11:29

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	სამოვანი ობიექტი	ობიექტის ტიპი: საკომუნიკაციო ნაგებობა
21	00	004	ობიექტის აღწერა: ხარაულას არხი
			ობიექტის სიგრძე: 6351.07 მ.
			დაფარვის ზონა: ქედის მუნიციპალიტეტი
			საკუთრების ტიპი: საკუთრება
			დამატებითი მახასიათებლები:
			წინა საკადასტრო კოდი :

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882023037926 , თარიღი 20/01/2023 17:07:34
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 25/01/2023

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N1/1-177 , დამოწმების თარიღი:18/01/2023 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:246762061

მესაკუთრე:

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავენობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი
882020626387
თარიღი 07/09/2020
15:37:48
უფლების
რეგისტრაცია: თარიღი
07/09/2020

მოსარგებლე: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საგანი:სამელიორაციო არხი 6351.07 გრძივი მეტრი;
მოსარგებლის არსებობის ვალით;

ბრძანება N54, დამოწმების თარიღი 24/08/2020, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების საავტომობილო გზების
დეპარტამენტი

ვაღიძურება

ყალბა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვალით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვალაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვაღიძურების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაყვით განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმი“ ქედის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქედის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში რეგისტრირებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეებში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 21.08.33.271) არსებული N02/2 - 97,77 კვ.მეტრი შენობა-ნაგებობა, (რომელიც წარმოადგენს ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმს, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 188287,47 (ასოთხმოცდარვაათას ორასოთხმოცდაშვიდი ლარი და 47 თეთრი) ლარს) პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში, (2014 წლის 22 აპრილის ქედის მუნიციპალიტეტსა და მოქალაქე ზაზა ხალვაშს შორის დადებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მოქმედების ვადით) უსასყიდლო თხოვების ფორმით ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმი“-სათვის გადაცემაზე მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს - როლანდი ბერიძეს.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს - როლანდი ბერიძეს

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

განმარტებითი ბარათი

ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე“ ქედის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე“ ქედის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ რომელიც განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში რეგისტრირებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეებში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 21.08.33.271) არსებული N02/2 - 97,77 კვ.მეტრი შენობა-ნაგებობა, (რომელიც წარმოადგენს ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმს, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 188287,47 (ასოთხმოცდარვაათას ორასოთხმოცდაშვიდი ლარი და 47 თეთრი) ლარს) პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში, (2014 წლის 22 აპრილის ქედის მუნიციპალიტეტსა და მოქალაქე ზაზა ხალვაშს შორის დადებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მოქმედების ვადით) უსასყიდლო თხოვების ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის პროცედურებს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების დაწესებულ მოთხოვნების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას.

ასევე გაგიმარტავთ, რომ გასული წლის 15 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია ა(ა)იპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს დირექტორის წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ფრიდონ ხალვაშის სახელობის სახლ-მუზეუმის დროებით, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემა ა(ა)იპ - ქედის ისტორიული მუზეუმისთვის. რაზედაც გაცნობებთ, რომ 2014 წლის 22 აპრილის ქედის მუნიციპალიტეტსა და მოქალაქე ზაზა ხალვაშს შორის გაფორმებულია უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება სოფელ გეგელიძეებში მდებარე, ზაზა ხალვაშის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 21.08.33.271) ნაწილზე, კერძოდ N02/2 შენობანაგებობაზე, რომლის ფართი შეადგენს 97,77 კვ. მეტრს. აღნიშნული შენობა-ნაგებობა წარმოადგენს ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმს, რომლის გამართულად ფუნქციონირებისათვის მიზანშეწონილია მითითებული ქონება დროებით, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაეცეს ა(ა)იპ - ქედის ისტორიულ მუზეუმს, რაზედაც ქონების ამჟამინდელი მესაკუთრე, ზაზა ხალვაშის მემკვიდრე (მეუღლე) - ნინო პაპუნძე წერილობით აცხადებს თანხმობას. გამომდინარე აქედან, შესაძლებელია ზემოთაღნიშნული უზუფრუქტის ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად, არსებული ქონება ა(ა)იპ - ქედის ისტორიულ მუზეუმს სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაეცეს ხსენებული ხელშეკრულების მოქმედების პერიოდით. აღნიშნულ სახლმუზეუმის ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენდა 4304.0 ლარს, რომელსაც უნდა დაემატოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ბოლო წლებში სახლმუზეუმის სარემონტოდ გაწეული ხარჯები, რომლის ღირებულება დღეის მდგომარეობით შეადგენს 183983,47 (ასოთხმოცდასამათას ცხრასოთხმოცდასამი ლარი და 47 თეთრი) ლარს, სულ ჯამში გადასაცემი ქონების ღირებულებაა 188287,47 (ასოთხმოცდარვაათას ორასოთხმოცდაშვიდი ლარი და 47 თეთრი) ლარი.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას, კერძოდ მერისათვის თანხმობის მიცემა ქონების გადაცემასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, რომელიც განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის შესაბამისად ჩამოყალიბდა შემდეგი სახით, კერძოდ: ქედის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში რეგისტრირებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეებში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 21.08.33.271) არსებული N02/2 - 97,77 კვ.მეტრი შენობა-ნაგებობა, (რომელიც წარმოადგენს ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმს, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 188287,47 (ასოთხმოცდარვაათას ორასოთხმოცდაშვიდი ლარი და 47 თეთრი) ლარს) პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში, (2014 წლის 22 აპრილის ქედის მუნიციპალიტეტსა და მოქალაქე ზაზა ხალვაშს შორის დადებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მოქმედების ვადით) უსასყიდლო თხოვების ფორმით გადაცემაზე მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძე).

განკარგულების პროექტს თან ერთვის 2014 წლის 22 აპრილის ქედის მუნიციპალიტეტსა და მოქალაქე ზაზა ხალვაშს შორის დადებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) ინდივიდუალური აქტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ინდივიდუალური აქტის არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი (სულიკო ბოლქვაძე).

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



საქართველო

GEORGIA

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
Autonomous Republic of Adjara

ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმი

დ. ქედა, ტბ. აბუსერიძის ქ. №10

ელ. ფოსტა: qedamuzeumi@gmail.com

№ 01-18/17

15 დეკემბერი 2022 წ.

ქედის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ როლანდი ბერიძეს

ბატონო როლანდი,

გაცნობებთ, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის 28 იანვრის #01-08/23 ბრძანების საფუძველზე, ა.ა)ი.პ. ქედის ისტორიულ მუზეუმს გადმოეცა ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმი თხოვების სარგებლობით, საბალანსო ღირებულებით 5664,99 (ხუთიათასექვსასამოცდაექვსი ლარი 99 თეთრი) ლარი.

დღეის მდგომარეობით არსებული ხელშეკრულების ვადა ამოიწურა. გთხოვთ გაგვიფორმოთ ახალი ხელშეკრულება, ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმის თხოვებით სარგებლობასთან დაკავშირებით მისი არსებობის ვადით, რომლის ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 4304 (ოთხიათასსამასოთხ) ლარს.

პატივისცემით,

ა.ა)ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმის

დირექტორი

/ვაჟა ფარტენაძე/


ქედის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ როლანდი ბერიძეს
მოქალაქე ნინო პაპუნძის
პN 01024012924

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

როგორც თქვენთვის ცნობილია 2014 წლის 22 აპრილს ქედის მუნიციპალიტეტსა და მოქალაქე ზაზა ხალვაშს შორის გაფორმებულია უსასყიდლო უზურფრუქტის ხელშეკრულება, სოფელ გეგელიძეებში მდებარე, ზაზა ხალვაშის საკუთრებაში არსებულ N02/2 97,77 კვ.მ შენობა-ნაგებობაზე (ს/კ 21.08.33.271), რომელიც წარმოადგენს ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ როგორც ზაზა ხალვაშის მემკვიდრე (მეუღლე) და ქონების მესაკუთრე, მე - ნინო პაპუნძი თანახმა ვარ, ზემოთ აღნიშნული ქონება, ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ თხოვების ფორმით, გადასცეს ააიპ „ქედის ისტორიულ მუზეუმს“ შემდგომი მოვლა-პატრონობისა და ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმის გამართულად ფუნქციონირების მიზნით.

განმცხადებელი: ნინო პაპუნძი



21/12/2022 წელი

უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება

დაბა ქედა

22 აპრილი 2014 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ზაზა ხალვაში (პ/ნ 01024012923) (შემდგომში "მესაკუთრე") და მეორეს მხრივ, ქედის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბადრი დიასამიძის (პ/ნ 61008002960) სახით (შემდგომში „უზურფრუქტუარი“) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე ნებაყოფლობით ვაფორმებთ უსასყიდლო უზურფრუქტის ხელშეკრულებას, რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით «მესაკუთრე» «უზურფრუქტუარს» უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადასცემს სოფელ გეგელიძეებში მდებარე უძრავი ქონებიდან (საკადასტრო კოდით 21.08.33.271) №02/2 97,77 კვ.მ. შენობა-ნაგებობებს

2.2. უსასყიდლო უზურფრუქტის წესით გადასაცემი ქონება წარმოადგენს მესაკუთრე-ზაზა ხალვაშის ქონებას, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით (მიწის (ქონების საკ. კოდ.21.08.33.271

2.3. უსასყიდლო უზურფრუქტის წესით გადასაცემი უძრავი ქონება არ არის უფლებრივად დატვირთული.

2.4. ხელშეკრულებას თან ერთვის ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ქონების - მიწისა და შენობა-ნაგებობის საკადასტრო აზომვითი ნახაზი და მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

საქართველო
საჯარო რეესტრი
თბილისი -
საკადასტრო

3.1 „მესაკუთრე“ ვალდებულია:

- ა). «უზუფრუქტუარს» უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულების "2.1 მუხლში" აღნიშნული ქონება;
- ბ). ხელი შეუწყოს უზუფრუქტუარის მიერ უსასყიდლო უზუფრუქტის წესით აღებული უძრავი ქონებით სარგებლობას.

3.2 „მესაკუთრეს“ უფლება აქვს:

- ა). ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაათვალიეროს უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადაცემული ქონება.

3.3 „უზუფრუქტუარი“ ვალდებულია:

- ა). მიიღოს ხელშეკრულებაში აღნიშნული უძრავი ქონება;
- ბ). უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, აღებული ქონება გამოიყენოს პირდაპირი დანიშნულებით;
- გ). უზრუნველყოს უსასყიდლო უზუფრუქტის წესით აღებული ობიექტის კეთილმოწყობა, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა და არ შეუშალოს ხელი „მესაკუთრის“ წარმომადგენლის მიერ ინსპექციის ჩატარებას.

დ). გადაცემული ქონების გამოყენებისას დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ე). ორი კვირით ადრე აცნობოს „მესაკუთრეს“ ქონების გათავისუფლების შესახებ და ხელშეკრულებაზე თანდართული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში ჩააბაროს იგი „მესაკუთრეს“;

ვ). დაუყოვნებლივ აცნობოს მესაკუთრეს, თუ ქონება განადგურდა, დაზიანდა ან მის შესანახად წარმოიშვა გაუთვალისწინებელი ხარჯები;

3.4 „უზუფრუქტუარს“ შეუძლია „მესაკუთრესთან“ შეთანხმებით საკუთარი სახსრებით აწარმოოს ქონების მიმდინარე რემონტი, აგრეთვე სხვა შეკეთებითი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია უზუფრუქტუარის საქმიანობასთან. აღნიშნულ საქმიანობებზე გაწეული ხარჯები მესაკუთრის მხრიდან კომპენსაციას არ ექვემდებარება.

3.5 „მესაკუთრეს“ შეუძლია გააუქმოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ უზუფრუქტუარი:

წმენდის
არაა
გადა
.....

- დანიშნულებისამებრ არ იყენებს ქონებას და არღვევს ხელშეკრულების პირობას;

- განზრახ ან დაუდევრობით აუარესებს ქონების მდგომარეობას;

3.6 3.5 პუნქტში აღნიშნული მიზეზების წარმოშობის შემთხვევაში, „მესაკუთრე“ წერილობით აცნობებს „უზუფრუქტუარს“ გამოვლენილი დარღვევების შესახებ, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და თუ ამ ვადაში უზუფრუქტუარმა არ წარმოადგინა ხელშეკრულების გაუქმების მიზეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი, „მესაკუთრე“ უფლებამოსილია ცალმხრივად გააუქმოს ხელშეკრულება.

3.7 „უზუფრუქტუარი“ პასუხს არ აგებს ქონების ნორმალური ცვეთისათვის, იგი ვალდებულია აანაზღაუროს მიმდინარე ხარჯები, გაარემონტოს ქონება, აგრეთვე იზრუნოს ქონების ნორმალური სამეურნეო მოვლისათვის;

3.8 ქონების (ობიექტის) სარგებლობის მიზნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ „მესაკუთრის“ თანხმობით.

3.9 ხელშეკრულების პირობათა დარღვევის განმეორებით გამოვლენის შემთხვევა განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინიციატივად „მესაკუთრის“ მიერ. ხელშეკრულების მოშლის შემდეგ „უზუფრუქტუარს“ არ უნაზღაურდება მის მიერ გაწეული დანახარჯები.

4. მხარეების პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

4.1 უსასყიდლო სარგებლობის ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს:

ა). მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით;

ბ). მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შედეგად.

4.2 „მესაკუთრის“ მიერ:

უზუფრუქტუარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების შესაბამისი პირობების დაცვით.

4.3. „უზუფრუქტუარის“ მიერ:

საქმის
პროცესი
N 160
2018

თუ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე 1 თვით ადრე წერილობით შეატყობინებს „მესაკუთრეს“.

4.4 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ხელშეკრულების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე უზუფრუქტუარსა და მესაკუთრეს შორის წამოჭრილ სადაო საკითხებს განიხილავენ მხარეები, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

4.5 უსასყიდლო სარგებლობის ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება, თუ ქონება განადგურდა უზუფრუქტუარის დამოუკიდებელი მიზეზების გამო და აღარ გამოდგება გამოსაყენებლად.

4.6. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი არ სრულდება ან არასათანადოდ სრულდება, მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

5. ფოსმაჟორი

5.1 მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, ანუ ისეთი გარემოება, რაც მათ კონტროლს არ ექვემდებარება.

5.2 ფოსმაჟორული პირობები ცხადდება ცენტრალური ან ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების მიერ. თუ ფოსმაჟორული პირობები არ იქნა გამოცხადებული სახელმწიფო ორგანოების მიერ თავისი ლოკალური ხასიათის გამო, ამ პირობების დადგომის საკითხს წყვეტს საქართველოს სასამართლო.

5.3 თუ ფოსმაჟორულმა გარემოებებმა არსებითი ზიანი მიაყენა ქონებას ან გაართულა მისი სარგებლობა იგი უფლებამოსილია მოითხოვოს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მოშლა.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ს.ს.ს.
22
ს.ს.

6.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის ვადით.

6.2 ხელშეკრულება გრძელდება ავტომატურად მომდევნო 5 წლის ვადით, იმ შემთხვევაში თუ მხარეები ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე წერილობით უარს არ განაცხადებენ მის გაგრძელებაზე.

7. სხვა პირობები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

5.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 4 ეგზემპლარად, თითოეულს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.


დანართი:

1. მიღება-ჩაბარების აქტი
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
3. გეგმა, ნახაზი

«მესაკუთრე»

ზაზა ხალვაში


ზაზა ხალვაში



«უზუფრუქტუარი»

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზადრი დიასამიძე



მიღება - ჩავაბარების
აქტი

დაბა ქედა

22 აპრილი 2014 წელი.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნმა: ერთის მხრივ მხრივ ზაზა ხალვაშის და მეორეს მხრივ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბადრი დიასამიძის სახით შევადგინეთ ეს აქტი მასზედ, რომ მხარე პირველმა ჩავაბარე, ხოლო მხარე მეორემ ჩავიბარე სოფელ გეგელიძეებში მდებარე უძრავი ქონებიდან №02/2 97.77 კვ.მ. შენობა-ნაგებობებს რომლის საკადასტრო კოდია 21.08.33.271

ჩავაბარე:


ზაზა ხალვაში





სოფ. ბეველიძეები
ჩაზა ხაღვაშის
მუხევის
აზომვითი ნახაზი

მასშტაბი-1:200



შპს "გეორჯია-ბილდინგ" ჯორჯიის რესპუბლიკის

მ. ქათამაძე

საერთო ფართი: 97.77 კვმ
განაშენიანება: 43.36



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება

2023 წლის -- იანვარი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან
სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის
განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. განსაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმების ოდენობა თანახმად დანართი №1-სა.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრისა და თანმდევი სამართლებრივი შედეგების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 იანვრის №2 განკარგულება.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმების ოდენობა

1. სპორტის სფეროში გამართული ღონისძიებების დაფინანსების ნორმები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) დღიური კვების თანხა:

ა.ა) სპორტსმენები – 30 ლარი ერთ კაცზე;

ა.ბ) მწვრთნელები – 30 ლარი ერთ კაცზე;

ა.გ) მსაჯები - 30 ლარი ერთ კაცზე;

ა.დ) ტექნიკური პერსონალი – 25 ლარი ერთ კაცზე;

ა.ე) სამედიცინო პერსონალი – 25 ლარი ერთ კაცზე;

2. შიდა ღონისძიებებზე – ქვეყნის შიგნით, ეროვნული შეჯიბრებებისა და სასწავლო – საწვრთნო შეკრებებზე სპორტული დელეგაციის საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯი დღე-ღამეში ერთ კაცზე განისაზღვროს არაუმეტეს 60 ლარისა.

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ.

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრისა და თანმდევი სამართლებრივი შედეგების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 იანვრის №2 განკარგულების სამართლებრივი საფუძველის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრა.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრისა და თანმდევი სამართლებრივი შედეგების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 იანვრის №2 განკარგულების სამართლებრივი საფუძველის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა და სწორედ ამ მიზნით ახლიდან ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრა და დამტკიცება შემდეგი სახით, კერძოდ: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმების ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

1. სპორტის სფეროში გამართული ღონისძიებების დაფინანსების ნორმები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) დღიური კვების თანხა:

ა.ა) სპორტსმენები – 30 ლარი ერთ კაცზე;

ა.ბ) მწვრთნელები – 30 ლარი ერთ კაცზე;

ა.გ) მსაჯები - 30 ლარი ერთ კაცზე;

ა.დ) ტექნიკური პერსონალი – 25 ლარი ერთ კაცზე;

ა.ე) სამედიცინო პერსონალი – 25 ლარი ერთ კაცზე;

2. შიდა ღონისძიებებზე – ქვეყნის შიგნით, ეროვნული შეჯიბრებებისა და სასწავლო – საწვრთნო შეკრებებზე სპორტული დელეგაციის საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯი დღე-ღამეში ერთ კაცზე განისაზღვროს არაუმეტეს 60 ლარისა.

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის პროექტის შესაბამისად ხდება დამტკიცებულ „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრისა და თანმდევი სამართლებრივი შედეგების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 იანვრის №2 განკარგულების ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, რომელიც აღნიშნული განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება.

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რადგან სამართლებრივად დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი მამია გვარიშვილი.

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

**2023 წლის -- იანვარი
დაბა ქედა**

**ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ**

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დადებითად შეფასდეს ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.

2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალამემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2022 წელში საქმიანობა წარმართული იყო სამსახურის დებულების შესაბამისად განსაზღვრული უფლებამოსილებათა განხორციელების კუთხით და გეგმაზომიერად მიმდინარეობდა მუშაობა ბიუჯეტით გამოყოფილი ფინანსებით შესაბამისი შესყიდვები.

სახელმწიფო შესყიდვები წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საკრებულოს მიერ დამტკიცებული საბიუჯეტო ხარჯებისა და მერის ბრძანებით დადგენილი შესყიდვების გეგმის შესაბამისად, შესყიდვების თაობაზე საკანონმდებლო მოთხოვნილებების სრული დაცვით. სულ 2022 წელში შესყიდვების საერთო მუცულობამ გეგმით შეადგინა 10047900 ლარი.

ცალკეული შესყიდვების განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა შესყიდვების წლიური და ინდივიდუალური დაგეგმარება. დაგეგმვის პროცესში პასუხისმგებლობის სწორი გადანაწილება, მიწოდების რისკების კვლევა, საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების სწორად განსაზღვრა, მიწოდების ბაზრის კვლევა და სატენდერო პროცედურების მართვისას საკანონმდებლო მოთხოვნების ზუსტად დაცვა.

2022 წელში სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად სულ გამოცხადდა 164 ელექტრონული ტენდერი, მათგან დადებითად დასრულდა 115, არ შედგა 10 ტენდერი, სულ სატენდერო პროცედურების შედეგად გაფორმდა 115 ხელშეკრულება სხვადასხვა მომწოდებლებთან. წლის განმავლობაში სახელმწიფო ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების გამო, შეუწყდა შპს „რაგი“-ს ოთხი ხელშეკრულება, საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებები.

კანონით დადგენილი წესების დაცვით შესყიდვების სააგენტოს თანხმობით, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესყიდვების შეუფერხებლად და შეზღუდულ ვადებში ჩატარების მიზნით გაფორმდა 48 ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვების წესით. მათ შორის ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელებისათვის დაცვის სამსახურზე და ექიმადელი სამედიცინო მომსახურებისათვის პროგრამების შესყიდვების მიზნით, კონსოლიდირებული ტენდერებით სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესით საწვავის და სხვა მომსახურების შესყიდვისათვის გაფორმდა 42 ხელშეკრულება.

სულ შესყიდვების თაობაზე წლის განმავლობაში გაფორმდა 205 ხელშეკრულება. ჩატარებული ტენდერები ძირითადად შეეხებოდა ინფრასტრუქტურული პროექტებით განსაზღვრული სამუშაოების შესყიდვას, როგორცაა მოსახლეობის სასმელი წყლებით უზრუნველყოფა, სასოფლო-საუბნო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, მეწყერული მოვლენების წინააღმდეგ ჩასატარებელი ღონისძიებები, გარე განათების სისტემების მოწყობა და სხვა...

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა შესყიდვების თაობაზე ანგარიშების წარდგენას სააგენტოს მიერ დადგენილ ვადებში. წლის განმავლობაში სააგენტოს მხრიდან დღემდე ჩატარებული შესყიდვებისა და სატენდერო პროცედურების მართვის თაობაზე რაიმე მნიშვნელოვანი კრიტიკული შენიშვნა არ მიგვიღია.

28 ერთეული ქონება გადაეცა სხვადასხვა უწყებებს, მათ შორის 3 ამბულატორია. სამედიცინო მომსახურების ჰოლდინგს გადაეცა ამბულატორიები. 25 ერთეული საცხოვრებელი ბინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას მესაკუთრეებზე გადასაცემად და ერთი ერთეული მიწის ფართობი სოფელ აქუცაში დასასვენებელი კომპლექსის მოსაწყობად.

სამსახურის მიერ გარკვეული სამუშაოებია ჩატარებული მუნიციპალური ქონების მართვის კუთხით, კერძოდ ქონების აღრიცხვის, გასხვისების და მოვლაპატრონობის მიზნით 2022 წელში დამტკიცებული იქნა საკრებულოს მიერ საპრივატიზაციო ნუსხა, რომელიც მოიცავს 12 ერთეულ ქონებას. სულ წლის განმავლობაში მოხდა 4 ერთეული ქონების პრივატიზაცია, მათ შორის მიწის ნაკვეთი 1 ერთეული და ავტომობილები 3 ერთეული.

პერიოდულად მიმდინარეობს უძრავი ქონების რეგისტრაციისათვის ტექნიკური ნახაზების შედგენა და მათი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. გასულ წელში სულ დარეგისტრირდა 37 ერთეული ქონება.

წლის განვლილ პერიოდში სულ სამსახურში შემოსულია --- წერილობითი დოკუმენტი: მოქალაქეების განცხადებები, გარე სტრუქტურებიდან შემოსული კორესპონდენცია და მოხსენებითი ბარათები, რომლებზეც დროულად მოხდა შესაბამისი რეაგირება და გაცემულია პასუხები. მოქალაქეთა ძირითადი განცხადებები შეეხება მიწების, სახურავების გამოყოფას, სხვადასხვა პროექტების განხორციელებას და ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სამსახური თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობას ღებულობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, უშუალოდ მონაწილეობს პრიორიტეტების განსაზღვრაში და პროგრამების დაფინანსების კუთხით ამზადებს შესაბამის წინადადებებს. შესაბამის სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობით ადგენს ეკონომიკური აქტივობის კუთხით დასაფინანსებელ პროექტებს ტურიზმის, სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების მიზნით. პერიოდულად ადგენს ფულადი რესურსების ხარჯების მიმართულებით სტატისტიკურ ანგარიშებს და სხვა ინფორმაციებს საკრებულოში ან სხვა უწყებაში წარსადგენად.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

**2023 წლის -- იანვარი
დაბა ქედა**

**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის,
ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული
მუშაობის შესახებ**

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დადებითად შეფასდეს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.

2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალამემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

ამირან ცინცაძე

2022 წელს (01.01.2022- 31.12.2022) გაწეული მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

სამსახური ხელმძღვანელობს თანამდებობრივი ინსტრუქციით, მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით, სამსახურის დებულებითა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უფლება-მოვალეობით.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 2022 წლის საანგარიშო პერიოდში ძირითად მიმართულებად განვსაზღვრა, როგორც კულტურული, საგანმანათლებლო, ტურიზმის და კულტურული ძეგლების დაცვის ხელშეწყობი ღონისძიებების, ისე სპორტული და ახალგაზრდული ხელშეწყობი ღონისძიებების ჩატარება, მომზადდა სატენდერო დოკუმენტაციები, ასევე განხორციელდა პროგრამებში შესაბამისი ცვლილებები.

პროგრამულად დამტკიცებული განსახორციელებელი ღონისძიებები ჩატარებულია უნაკლოდ, გაწეულია კონტროლი ღონისძიებების ორგანიზებაზე. მოეწყო კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები, ექსკურსია-ლაშქრობები, მიზნობრივ ჯგუფებზე გათვლილი სხვა შემეცნებისა და გართობის კომპონენტის მქონე მრავალფეროვანი ღონისძიებები.

გათვალისწინებულ ღონისძიებებში ჩართული იყვნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, შშმ პირები, მასწავლებლები, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სტატუსისა და ასაკის ბენეფიციარები. ღონისძიებების მიზანი იყო კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ეროვნული დღესასწაულების პოპულარიზაცია, ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლება, მოსწავლეების სწავლით დაინტერესება, მათი წახალისება, საქართველოს სხვადასხვა კუთხის გაცნობა, შიდა ტურიზმისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული შეხედულებების მსხვრევა.

2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის (კულტურის განვითარების ხელშეწყობა) ქვეპროგრამით - (კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა) ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებიდან განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1. **დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დაიხარჯა 5379,02 ლარი;** ამ დღესთან დაკავშირებით ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 75 ქალბატონს (მრავალშვილიანებს, სოციალურად დაუცველებს, ღვაწლმოსილებს) გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. ღონისძიების მიზანია ქალბატონების დაფასება, წარმოჩენა;
2. **8 აგვისტოს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება დაიხარჯა 499,99 ლარი;** ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული გმირის, ფრიდონ თურმანიძის საფლავის ყვავილებითა და გვირგვინით შემკობა;
3. **სახალხო ზეიმი შემოდგომა ქედში:**
 - ღონისძიება „ქედელობის“ ფარგლებში არჩეული საპატიო მოქალაქეებისათვის გადასაცემად ჯილდოების და საჩუქრების შესყიდვა, დაიხარჯა 1239,7 ლარი;
 - სახალხო ზეიმი „შემოდგომა ქედში“ ჩატარებასთან დაკავშირებით ბენდი „სისაიდის“ და „გოგლაურის“ მომსახურების (2 სათიანი მუსიკალური პროგრამა) შესყიდვა, დაიხარჯა 4000 ლარი;

4. ადგილობრივი და საერთაშორისო დღეები:

- დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე, დაიხარჯა 1729,97 ლარი; ამ დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების თანასწორუფლებიანობის გამყარება“, რომლის მიზანია საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული შეხედულებების მსხვერვა.
- აუტიზმის საერთაშორისო დღე, დაიხარჯა 1991,99 ლარი; ღონისძიების მიზანია ამ თემის ირგვლივ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება.
- აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, დაიხარჯა 1031,80 ლარი; ღონისძიების ფარგლებში უფასო სასადილოს 23 ბენეფიციარს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ტკბილეულის ფუთა გადაეცათ.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე, დაიხარჯა 278,99 ლარი; ამ დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ოლნაინ ტრენინგი „თანაბარი უფლებები, თანაბარი შესაძლებლობები“. მსმენელებს მიეწოდათ ინფორმაცია სწორი ტერმინოლოგიის, დამოკიდებულებისა და ქცევის შესახებ. ღონისძიების მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების სოციალური იზოლაციის დაძლევა, საზოგადოებაში მათ მიმართ არსებული ნეგატიური სტერეოტიპების რღვევა და მათი რეალური შესაძლებლობების წარმოჩენა.
- „ბაირამი“, დაიხარჯა 1024,98 ლარი; ქედის მუნიციპალიტეტში მოქმედ რამდენიმე მეჩეთში გატანილ იქნა ტკბილეულის ფუთა;
- ოჯახის სიწმინდის დღე, დაიხარჯა 2464,99 ლარი; ქედის მუნიციპალიტეტში არსებულ 10 ოჯახს გადაეცა ფასიანი საჩუქრები. ღონისძიების მიზანია წმინდა, მყარი ოჯახების დაფასება;
- 9 მაისი _ ფაშიზმზე გამარჯვების დღე. 752,97 ლარი; ამ დღესთან დაკავშირებით თვითმმართველობის მოხელეებმა და საზოგადოების წევრებმა ყვავილებით და გვირგვინით შეამკეს დაბა ქედაში მდებარე მემორიალური დაფა, წონიარისის ნაბრძოლი ტანკი, კულტურული ღონისძიება ცხმორისში გაიმართა, სადაც გაიხსენეს ომის მონაწილეები და დაღუპულები, პატივი მიაგეს მათ ხსოვნას;
- მასწავლებელთა საერთაშორისო დღე, დაიხარჯა 6104,07 ლარი; ღონისძიების მიზანია მასწავლებელთა მხარდაჭერა, ღვაწლის დაფასება და მადლობის გადახდა საზოგადოებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

- ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე, დაიხარჯა 3100,93 ლარი; ღონისძიების მიზანია ხანდაზმულების დაფასება, მხარდაჭერა. უფროსების მიმართ პატივისცემის გამოხატვა.

- ბულინგთან ბრძოლის საერთაშორისო დღე, დაიხარჯა 1175,99 ლარი; ღონისძიების მიზანია ძალადობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

5. ტურიზმის და კულტურული ძეგლების დაცვის ხელშეწყობი ღონისძიებები:

- ექსკურსია ხულოს მუნიციპალიტეტში -ხიხანის ციხეზე, დაიხარჯა 899,80 ლარი;
- ექსკურსია ეთნოგრაფიულ მუზეუმ ბორჯღალოში და გონიოს ციხეზე, დაიხარჯა 866,97 ლარი;
- ექსკურსია პეტრას ციხეზე, დაიხარჯა 804,98 ლარი;
- ექსკურსია შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკში და მუსიკოსთა პარკში, დაიხარჯა 841,94 ლარი;
- ექსკურსია მაჭახლის ხეობაში, დაიხარჯა 836 ლარი;
- ექსკურსია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, დაიხარჯა 1041,98 ლარი;
- ექსკურსია ლაშქრობის მოწყობა მერისის ხეობაში 839,96 ლარი;
- მთის მოიალაღებისათვის ხილისა და საკონდიტრო პროდუქტის შესყიდვა, დაიხარჯა 3849,92 ლარი;

საქართველო გამოირჩევა ლამაზი ბუნებით, ისტორიული შენობა - ნაგებობებით, მრავალმხრივი ლანდშაფტით. ახალგაზრდები ეცნობიან ჩვენი ქვეყნის კულტურულ და ისტორიულ ღირებულებებს. ღონისძიებების მიზანია ახალგაზრდებისათვის ცხოვრების გააქტიურება, მათი კულტურულ ცხოვრებაში ჩართვა. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შიდა ტურიზმს, ხელი შეეწყობა შიდა ტურიზმის განვითარებას, სოფლისა და კულტურული ტურიზმის პოპულარიზაციასა და წარმოჩენას.

6. ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ ხელშეწყობი ღონისძიებები:

- ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრი ქალბატონებისათვის დედისა და ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა, დაიხარჯა 937,99 ლარი;
- ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრთა ექსკურსია შიდა ქართლში, დაიხარჯა 4682,79 ლარი;
- ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრთა ექსკურსია სამცხეს მხარეში, დაიხარჯა 2705,99 ლარი;
- ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრთა ექსკურსია ქუთაისში, დაიხარჯა 1243 ლარი;
- ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრთა ექსკურსია ბათუმში, დაიხარჯა 1929,95 ლარი;

- ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრებისათვის საქართველოს დამოუკიდებლობის დღის მილოცვა, დაიხარჯა 437,80 ლარი;
- ქედის ხანდაზმულთა კლუბის ღირსეული სიბერე წევრების შეხვედრა ახალგაზრდებთან, დაიხარჯა 495 ლარი;
- ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრებისათვის ხანდაზმულთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა, დაიხარჯა 1034 ლარი;
- ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრების შეხვედრა ჯანდაცვის სფეროს ღვაწლმოსილ ადამიანებთან,, დაიხარჯა 437,80 ლარი;
- ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრებისათვის ახალი წლის მილოცვა, დაიხარჯა 790,90 ლარი;
- ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრების მიერ 9 აპრილის აღნიშვნა, დაიხარჯა 122,76 ლარი.

განხორციელებული ღონისძიებებით ხელი ეწყო კლუბის წევრთა კულტურულ ცხოვრებაში ჩართვა, რომლებიც ხელს უწყობს მათი ცხოვრების გამრავალფეროვნებას;

7. კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები:

- საქართველოს ეროვნული ინტელექტ ჩემპიონატის „ეტალონის“ დისტანციურ რეჟიმში ჩატარება ქედის მუნიციპალიტეტისთვის და მასში ქედის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა, დაიხარჯა 2960 ლარი;
- ეტალონის კონკურსის მეორე ტურში გამარჯვებულ მონაწილეებზე (პირველი ადგილი 500, მეორე ადგილი 300, მესამე ადგილი 200) ფულადი ჯილდოს გადაცემა, დაიხარჯა 1000 ლარი;
- 2022 წლის ინტელექტ-ჩემპიონატის შემაჯამებელ კონკურსში გამარჯვებულ ეტალონ მოსწავლისათვის ფულადი ჯილდოს გადაცემა, დაიხარჯა 1000 ლარი;

აღნიშნული ღონისძიებების მიზანია ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა-წარმოჩენა;

- ანიმაციური ფილმების „ექო-თოფუზი“-ს ფარგლებში ანიმაციური ფილმების ჩვენების უფლების შესყიდვა, დაიხარჯა 1700 ლარი.

ღონისძიების ფარგლებში მოზარდებმა შექმნეს ანიმაციური გმირები და გაიარეს ფილმის წარმოების ყველა ეტაპი. ბავშვების ჩართულობით შეიქმნა მცირე ანიმაციური ფილმი. მოეწყო ფილმების ჩვენება. ღონისძიების მიზანია მოზარდების დაინტერესება ქართული ანიმაციით, ასევე მისი პოპულარიზაცია;

8. ინტერმუნიციპალური ღონისძიებები:

- ინტერმუნიციპალური ლიტერატურული კონკურსი „პეგასი“, დაიხარჯა 2506,90 ლარი; - ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები. ღონისძიების მიზანია ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა-აღმოჩენა, მათი დაახლოება, მიღებული ცოდნის გაზიარება;
- 9. ლიტერატურული ნაწარმოების „დედაო ჩემო ქედაო“ I-II ტომის დაბეჭდვა, დაიხარჯა 17 000 ლარი; წიგნის ბეჭდვის მიზანია ქედის ისტორიის უკეთ შესწავლა;
- 10. საახალწლო ნაძვის ხის შექმნა, დაიხარჯა 141 600 ლარი; მიზანი არის მოსახლეობისათვის ახალი წლის გალამაზება;
- 11. საახალწლო და მიმდინარე წლის დასრულებასთან დაკავშირებით გასამართი ხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება:
 - საახალწლო და მიმდინარე წლის შემაჯამებელი ღონისძიებების ორგანიზების ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 ნოემბრის N2198 განკარგულების თანახმად საქართველოს მთავრობის ინიციატივით და მხარდაჭერით დაბა ქედაში ჩასატარებელი საახალწლო ღონისძიების მომსახურების (03.01.2023 წელი) ორგანიზება. დაიხარჯა 198506,39 ლარი. ჩატარდა კონცერტები, მოეწყო საშობაო ბაზრობები, გამოფენა-გაყიდვები, საბავშვო გასართობი სივრცეები, ფოტო გადასაღები ზონების და საახალწლო ინსტალაციები, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების თოვლის ბაბუასთან შეხვედრის ცერემონია, ფოიერვერკი და ა.შ.

2022 წელს სპორტული ღონისძიებების მიზნობრივი პროგრამით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1. კობა კაკალაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობა-დაიხარჯა 1200 ლარი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სატრანსპორტო და კვებით უზრუნველყოფა, ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა მწვრთნელი და 11 სპორტსმენი.
2. აჭარის ჩემპიონატი ჭადრაკში 8,12,16, წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის-დაიხარჯა 3000 ლარი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 8 დღის სატრანსპორტო და კვებით უზრუნველყოფა,საწევრო გადასახადი, ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა მწვრთნელი და 7 სპორტსმენი.
3. აჭარის ჩემპიონატი ჭადრაკში 10,14,18, 20, წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის-3000 პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 8 დღის სატრანსპორტო და კვებით უზრუნველყოფა,საწევრო გადასახადი, ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა მწვრთნელი და 7 სპორტსმენი.
4. ჭადრაკში საკვალიფიკაციო ტურნირი თანრიგის მინიჭებაზე-დაიხარჯა2600 ლარი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 8 დღის სატრანსპორტო და კვებით უზრუნველყოფა,საწევრო გადასახადი, ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა მწვრთნელი და 4 სპორტსმენი.
5. აჭარის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში-დაიხარჯა 1000 ლარი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სატრანსპორტო და კვებით უზრუნველყოფა, 2 დღე, ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა მწვრთნელი და 13 სპორტსმენი.
6. (ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის მაგიდის ჩოგბურთის გუნდის ამხანაგური შეხვედრა ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის გუნდთან-დაიხარჯა 500 ლარი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სატრანსპორტო და

32. ტარიელ ალიბეგაშვილის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში (9 მონაწილე, სამი დღე)-ჭიდაობაში-დაიხარჯა 2000 ლარი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ღამისთევა, სატრანსპორტო და კვებით უზრუნველყოფა, 3 დღე, ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა მწვრთნელი და 9 სპორტსმენი.
33. რაჭის პრიზი თავისუფალ ჭიდაობაში 6-8წლებში (9 მონაწილე, სამი დღე)-დაიხარჯა 1900 ლარი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ღამისთევა, სატრანსპორტო და კვებით უზრუნველყოფა, 3 დღე, ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა მწვრთნელი და 9 სპორტსმენი.
34. საქართველოს 29-ე ჩემპიონატი კიკბოქსინგში -დაიხარჯა 3000 ლარი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ღამისთევა, სატრანსპორტო და კვებით უზრუნველყოფა, 4 დღე, ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა მწვრთნელი და 11 სპორტსმენი.
35. მინი ფეხბურთში მასტერლიგა 7X7
35. 2022 წლის წარმატებული სპორტსმენთა და მწვრთნელთა წახალისების ფონდი-15000 (თხუტმეტიათასი) ლარი. (2022 წლის განმავლობაში სპორტსმენები რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ, რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებებში და აჩვენეს საუკეთესო შედეგები, მიზანშეწონილია შემდგომი სტიმულირების მიზნით სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი)-სულ წახალისდა 39 სპორტსმენი და 9 მწვრთნელი
36. 2022 წლის განმავლობაში სპორტსმენები რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ, რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებებში და აჩვენეს საუკეთესო შედეგები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდგომი სტიმულირების მიზნით სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი-7000 ლარი.(2021-2022 წელს გუნდებმა დაიკავე საპრიზო ადგილი-I-II (აჭარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის, ასევე მინი ფეხბურთში მასტერლიგა 7X7 (აჭარის ჩემპიონატში II ადგილი), მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდგომი სტიმულირების მიზნით სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი). სულ წახალისდა მწვრთნელი და 7 სპორტსმენი,

2022 წელს ახალგაზრდული ღონისძიებების მიზნობრივი პროგრამით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1. აჭარის ჩემპიონატის ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?მუნიციპალიტეტში გამარჯვებული საჯარო სკოლის გუნდების (I,II,III) მონაწილეობის მომსახურების ორგანიზება ქ. ბათუმში-დაიხარჯა 573 ლარი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სატრანსპორტო და კვებით უზრუნველყოფა, სულ 21 მოსწავლე.
2. ტრენინგ-სემინარი ახალგაზრდებისათვის ღონისძიების მომსახურების ორგანიზება-დაიხარჯა 1285 ლარი. სულ დაფინანსდა 2 ტრენინგი,2 დღე 20-20 ახალგაზრდაზე გათვლილი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ტრენინგის ანაზღაურება და მონაწილე ახალგაზრდების ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა
3. „გაიცანი საქართველოს" ფარგლებში ახალგაზრდების ექსკურსია დასავლეთ საქართველოში-დაიხარჯა 2226 ლარი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სატრანსპორტო, კვება. ღამისთევა და ახალგაზრდების ბილეთებით უზრუნველყოფა და ნაგების დაქირავება კანიონებზე
4. ლაშქრობა მოწყობა მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნავ ადგილებში-დაიხარჯა 1285 ლარი, ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა 40 ახალგაზრდის სატრანსპორტო და კვებით უზრუნველყოფა 2 დღე.
5. „გაიცანი საქართველოს" ფარგლებში ახალგაზრდების ექსკურსია კახეთის რეგიონში-დაიხარჯა 2226 ლარი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სატრანსპორტო, კვება. ღამისთევა და ახალგაზრდების ბილეთებით უზრუნველყოფა
7. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე-სულ დაიხარჯა 2497 ლარი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 34 ახალგაზრდების სატრანსპორტო მომსახურება ბათუმში, კვებით და ბილეთით უზრუნველყოფა.
8. მუნიციპალიტეტის პირველობა იუმორისტულ და საზრიანთა საჯარო სკოლის გუნდებს შორის ღონისძიების მომსახურების ორგანიზება-დაიხარჯა 4000 ლარი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 6

საჯარო სკოლის გუნდის (სულ 45 ახალგაზრდა) მომზადება (სარეჟისორი მომსახურება), ფასიანი საჩუქრების შეძენა, წამყვანის ანაზღაურება, კვებით უზრუნველყოფა და ა.შ.

10. „გაიცანი საქართველოს“ ფარგლებში ახალგაზრდების ექსკურსია დასავლეთ საქართველოში-დაიხარჯა 1924 ლარი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ახალგაზრდების სატრანსპორტო, კვებით და ბილეთით უზრუნველყოფა(პრომეთე, სათაფლია).

11. გავულამაზოთ ერთი დღე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს-დაიხარჯა 6499 ლარი, პროგრამის ფარგლებში 31 ბენეფიციარს 14-25 წლამდე შშმ პირს გადაეცათ საოჯახო ტექნიკის 150 ლარის ღირებულების ვაუჩერი და ტკბილეულის ფუთა.

გთხოვთ ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიიღოს ცნობად.